

4 გიორგობისთვე 1912 წ.
მიიღება ხელის მოწერა. ფასი
1 წლ.—5 მან. ამა 1912 წლ.
დამლევამდე—1 მან., 50 კაპ.
სოფლის მასწავლებელთ, სამ-
კოთხელოებს და უმაღლეს სას-
წავლებლებში მოსწავლეთ დაე-
თმობათ 4 მან.



ყოველ კვირეული საზოგადო-მკონო-

მიური და სალიტერატურო შუბნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. №3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი : სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა.—რ. გ—ესი.
სომხები საქართველოში—ა—ისა. ჰრესა. დიდე-
ბული ადამიანი—ფარსმან ფარუხისა. შემოდგომის
ღამეს—ი. სონლულაშვილისა. უკუდმართობა—
დ. კახელისა. კაპაქურცია და ეკონომიური ცხო-
ვრება. სარევი.

ინტელიგენციის მუდმივი ფიქრი იყო, საუკეთესო
ნაწილი საქართველოსი,—კახეთი, ასე თუ ისე
შეეერთებინა თბილისთან. ამ ხნის განმავლობაში
ბევრი სხვა და სხვა მოსაზრება, სხვა და სხვა პლანი
იყო შედგენილი, რომლებიც ბოლოს ყოველთვის
იფუშებოდა. 1904 წელს სარკინისგზო კომისიას
რამდენიმე კონკურენტიც კი წარუდგა კონცესიის
გამოსათხოვად და სახელმწიფო კომისიამაც გა-
დასწყვიტა, თავად-აზნაურობის კომისიასთან ერ-
თად, ამ გზის ტენიკური გამოკვლევა ხაზინის
ხარჯით.

სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა

კახეთის რკინის გზის ვითარებაში ისეთი ახალი
ელემენტები აღმოჩნდა, რომ ძალაუნებურად ყო-
ველი ჩვენგანი ღრმად უნდა ჩააფიქროს და ააღლე-
ვოს კიდევ კახეთის რკ. გზის შესახებ იმდენი
რამ თქმულა, იმდენი დაწერილა, რომ შეიძლებოდა
სულაც მხარი აგვექცია მისთვის, რომ ეს ახალი
ელემენტები ძირიანად არ აქარწყლებდნენ მის
პირვანდელ მნიშვნელობას, არსებითად არ სცვლი-
დნენ მის ეროვნულ დანიშნულებას,—რაც ჩვენს
საზოგადოებრივ მოუმიწიფებლობას ამტკიცებს.

საკითხის ნათელ საყოფად ცოტა შორიდგან
დავიწყებ.

ჯერ კიდევ 70-ან წლებში, როცა ბაქო-ბა-
თომის გზა გაჰყავდათ, მთავრობა იორის მხრით
აპირებდა ლიანდაგის წამოყვანას, მაგრამ სხვა და
სხვა მოსაზრებამ ხელი შეუშალა.

ამის შემდეგ, თბილისის თავ-აზნაურობის და

მხოლოდ იაპონიის ომმა შეუშალა ხელი ამ
განზრახვას.

ომის შემდგომ, კიდევ რამდენიმე კერძო პი-
რისაგან და თავად-აზნაურობისაგანაც იყო აღძრუ-
ლი ეს საკითხი, რაიც საბოლოოდ დასრულდა თავ-
ვად-აზნაურობის გამარჯვებით: 1908 წელს მან
მიიღო კონცესია გ. ბაგრატიონ-დავითაშვილის
პ. ი. თუმანიშვილის, დ. ე. ჩოლოყაშვილის და
სხ. თაოსნობით.

ზემო აღნიშნულ ისტორიაში, გზის მიმართუ-
ლება ბევრჯერ შეიცვალა და ბოლოს დამტკიცდა
ნავთილულ—მარტყოფ—ჩალაუბან-თელავის მიმარ-
თულება, წნორის წყლის შტოთი. *)

თავ-აზნ. პირვანდელი მოსაზრება, რომ შემ-
დეგში ეს გზა გაფართოვდეს ზაქათალის მხრისაკენ
(და მომავალში ნუხა-ბაქომლისაც), მიღებული იყო

*) (იხ. რუქა. ჟურნ. „კლდე“ № 2).

მხედველობაში მთავრობისაგანაც და ამიტომ თავ-
აზნ. და მეტადრე მ სწინამძღოლმა გ. ბაგრატიონმა
დიდი გულმოდგინება და მხნეობა გამოიჩინა,
როცა მოახერხა ცარიელი უფლების რეალურ ძა-
ლად (ფულად) ქცევა „რუსეთ-აზიის“ ბანკის სა-
შუალებით. რადგან ცარიელი უფლების მოპოება,
თუ კი მას ვერ გამოიყენებ და არ განახორციელებ,
უფრო სასიკცხვილოა, ვიდრე უფლების უქონ-
ლობა. ამასთანავე ისეთი პირობები იყო შეკრული
ბანკთან, რომ ფაქტიურ ბატონ-პატრონად ამ გზი-
სა, უნდა ყოფილიყო თავ-აზნაურობა და ის წვრი-
ლი მესაკუთრენი, რომელთაც ჩამორთმეულ სა-
გზაო მიწის მავიერ, მიეცემოდათ აქციები.

მართლაც, 1,800,000 სააქციონერო თანხი-
დან 400,000 მანეთის აქცია ეძლეოდა თავ-აზნ.
და 550,000 მანათის აქციების შეძენის უფლება;
ასე რომ ერთად ქართველებს გვექნებოდა 950,000
მან. ე. ი. ნახევარზედ მეტი საერთო ჯამისა, რაც
სარკინისგზო საქმეებში გადაწყვეტ ხმას მოგვცემდა.

აქედან ნათლადა სჩანს, რომ გარდა მოგე-
ბისა, რომელიც დარჩებათ კერძო პარებს, აქციე-
ბის მფლობელთ, გარდა იმ მოგებისა და შეღავა-
თისა, რომელსაც ეს გზა მოუტანს კახეთს, თბი-
ლისს და საზოგადოთ ჩვენს მხარეს, გარდა, ასე
ვსთქვათ, კერძოთ სიმდიდრისა,—მისი გაუქმობე-
სების, ან ცვლილების საქმე, მისი მართვა-გამგეობა
იქნებოდა ჩვენს ხელში, რასაც დიდი საზოგადო
ეკონომიურ-კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩვენ-
თვის.

მე აღარ ვავიმეორებ იმას, რაც წარსულ წე-
რილში გვექონდა მოყვანილი *) და განვმარტავ
მხოლოდ იმ აზრს, რომ დიდი მამულების მეურნეო-
ბას, გარდა უბრალო მოგებისა, ბევრი სხვა მნიშვნე-
ლოვანი მხარე აქვს. ჩვენ ღარიბ სოფლებებს,
რომელთაც ზამთარში შიმშილით კუჭი უხმებათ,—
ესლა მამუელი შემოსავალი გაუჩნდება მთელი
რკინის გზის სიგრძეზედ. ერთის მხრით, როგორც
მომხმარებელი და მზიდავი ყველა ნაწარმოებისა
და მოსავლისა, ეს გზა ფასს დასდებს მათ; მეორე
მხრით, ზამთარში უქმად დარჩენილ სოფლის მეურ-
ნეს მისცემს სამუშაოს. სხვა მებატონე ამას ანგა-
რიშს არ გაუწევს და ვადათიელს გადმორეკავს
გზაზედ, ოღონდ ნახევარ-გროზად ნაკლები მომუ-
შავე იშოვოს. ჯერ ესლავე ვხედავთ ამის მაგა-
ლითებს.

*) იხ. ჟურნ. „კლდე“ № 6.

მოსამსახურეთა შტატების შედგენის დროს,
რასაკვირველია, უპირატესობა დაეთმოზოდათ ადგი-
ლობრივ მცხოვრებთ, როგორც უფრო დაინტე-
რესებულთ რკინის გზის გაუმჯობესებაში. მათთვის
ცხადი იქნებოდა, რომ რკინის გზის სიავ-კარგე
მქიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო მათს
პირად სარგებლობასთან, არამედ საზოგადოთ მათს
მხარესთანაც და უფრო ფართოდ მისი სამშობლოს
ინტერესებთან.

ეს შეასწავლის, შეაგებინებს საზოგადო აზრო-
ვნებას და შეთანხმებას კერძო ინტერესებისას სა-
ერთო ინტერესებთან. იგი უფრო ადვილად შეეგუ-
ება და სიყვარულით მოექცევა „თავის“ საქმეს,
ვიდრე უცხოასს.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სისტემატი-
ური მუშაობა, შეუჩერებელი ზრდა რკინის გზის
მეურნეობისა—თავდებია იმისა, რომ იქ მოყოლი-
ლი ქართველობა შეაჩვევს ხელს და გონებას—
მტკიცე მოქმედებას. ეკონომიური ძალა, საქმის სი-
დიდე, შუბლს გაუხსნის და უფრო იმედიანად შეხე-
დავს მომავალს, რადგან კახეთის რკინის გზა უნდა
იყვეს ერთ-ერთი საფეხური ჩვენი ეკონომიური
აღორძინების კიბისა.

ასე უყურებდით ჩვენ კახეთის რკინის გზის
ეროვნულ დანიშნულებას და ვაფაციცებით თვალს
ვადევნებდით მის ვითარებას. თავ-აზნ. თითქო შე-
იგნო საზოგადოების ასეთი შეხედულობა და, სი-
მართლვე უნდა ვსთქვათ, დიდი მუყაითობა გამოი-
ჩინა, ბევრი ენერჯია და ფული დახარჯა ამ საქ-
მის კეთილად დასავგირვენიებლად; მაგრამ ცოტა
მეტი წინდახედულობა უნდა გამოეჩინა და ის, რაც
ბუნებრივ ვაფართოვებას შეადგენდა კახეთის რკი-
ნის გზისას—სილნალ-ბაქოს რკინის გზა—ხელიდგან
არ უნდა გაეშვა.

შორსმკვრეტელი პატრონისათვის ეს აუცი-
ლებელ და ერთ უპირველეს საზრუნველ საგნად
უნდა ყოფილიყო. ეს პირველი ნიშანი იყო საზო-
გადოთ ჩვენი მოუმწიფებლობის კულტურულ ცხო-
ვრებისათვის და წინდაუხედაობისა.

ამას კიდევ ჰქონდა თავისი საპატიო მიზეზები,
მაგრამ გამოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელმაც არამც
თუ სხვებს არ შეუშალა ხელი—ამ ეროვნულ სიმდი-
დრის ხელიდან გამოცლას, არამედ თვითონ იღებ-
და მხურვალე მონაწილეობას.

ეს ვახლავთ პ. ი თუმანიშვილი, რომელიც
ამავე დროს კახეთის რკინის გზის კონცესიონერიც
არის.

რა არის ეს, თუ არ შეუგნებლობა და მოუმ-

წიფებლობა? შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ასეთი საქციელი პირადი ანგარებით არის გამოწვეული (და ღრმად რომ გამოვიკვლიოთ, იქნება ეგრეც იყვეს), მაგრამ ჯერჯერობით უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ პ. ი. თუმანიშვილს შეიძლება აზრალაც არ მოუვიდა თუ რა ზიანს მოუტანს საზოგადო საქმეს. შეიძლება ბ. თუმანიშვილი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ახალი გზა ახალ შემოსავალს მოუტანდა კახეთ. რკ. გზას—და კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა კი მისი, მხედველობიდან გამოვარა.

მით უფრო შესაძლებელია ესა, რომ მართლაც სიღნაღ-ბაქოს გზა გაამრავლებს ტვირთის ზიდვას (რუკობორობა) კახ. რკ. გზისას, როგორც ტვირთის გადმოცემით ამ გზაზედ, ისე ამ გზიდან ტვირთის მიღებით. პირველ შეხედვით, ეკონომიური მოგება კახ. რკ. გზისათვის უცილობელია, მაგრამ, რადგანაც ეს მოგება ყოველ შემთხვევაში კახ. რკ. გზას არ ასცდება და ამიტომ ჩვენ დაინტერესებულნი უნდა ვიყვნეთ სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის გაყვანაში, საფრთხე მართლაც იმ გადაწყვეტილებაშია, რომელსაც ლასდგომიან ბანკები და რომლისთვისაც ხელი შეუწყვიდა თუმანიშვილს: ამ ორი გზის შეერთებაში ერთი სააქციონერო საზოგადოების ხელში.

როგორც წინადაც ვსთქვით, სიღნაღ-ბაქოს გზის სააქციონერო თანხა მეტად დიდია, 5,000,000, და თუნდაც შევიძინოთ 950,000 მანეთისა, რისაც უფლებამ გვაქვს, 1/5-ზედ ნაკლები ხმა გვექნება. აქედან ცხადათა სჩანს, რომ ჩვენ ხმას გავლენა არ გქნება საზოგადო კრებაზედ და გზა უცხოთა ხელში გადავა, თუ ეს შეერთება მოხდა.

არ არის არც ერთი საბუთი იმისი, რომ კახეთის რკინის გზა რალსაც ახალს მოიგიბს შეერთებისაგან. სიღნაღ-ბაქოს გზა აუცილებლად მოუტანს სარგებლობას კახეთის რკინის გზას, შეერთებული იქნება მასთან, თუ განცალკევებული. ჩვენთვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განცალკევებას, რადგან მარტო მაშინ ვიქნებით სრულყოფილებიანი პატრონები.

და რადგან თავ. აზნ. ერთი შეცდომა მოუვიდა და უზრუნველ არ ჰყო ჩვენთვის მეორე მიმართულება, ერთი და დავგრჩენია ჩვენი პატარა გზა მაინც არ ჩავყლაპვიოთ სიღნაღ-ბაქოს ვეშაპს.

თავად აზნაურობისათვის ძალიან ძნელი იყო კახ. რკ. გზის კონცესიის აღება, ბევრი დაბრკოლება ელობებოდა ამას და უფრო მეტი მხნეობა

დასჭირდა კონცესიის სისრულეში მოსაყვან თანხის ძებნის დროს. უნდა ვსთქვათ ისიც, რომ თავ. აზნ. ჯერჯერობით არც საკმაო თანხა ჰქონდა, რომ სიღნაღ-ბაქოს გზისთვისაც მოეკიდნა ხელი ერთბაშად; და მოფიქრებაც დიდი უნდოდა, რომ ახალი საქმე სასარგებლოს მაგიერ, კირად არ გადაჰქცეოდა, როგორც მას, ისე ქვეყანას. ამას დიდი გამბედაობა უნდოდა და თავ. აზნ. თავს არ იღვა ასეთი მიმე მოვალეობა, აი ამ დროს გამოდის პ. ი. თუმანიშვილი და ლალატობს იმას რაც ბუნებრივად თავ. აზნ. საქმეს და სარგებლობას შეადგენდა, რაც თვით პ. ი. თუმანიშვილის მზრუნველობის საგნად უნდა ყოფილიყო. სწორედ ის ეცადა და განსაკუთრებით მისი შეოხებით დასრულდა სხვის, უცხოთა სასარგებლოდ.

ეს ცოტაა, ეს არ იკმარა და ახლა, სხვებთან დაკავშირებული, საბოლოოდ ძირს უთხრის კახ. რკ. გზას სხვა გზასთან შეერთებით, რომლის სიგარძე, თანხა და უცხოთა ხელში ყოფნა—შთანთქავს ჩვენი კერძო გზის ბედ-იღბალსა. ასეთი საქციელი თუ პირდაპირ ბოროტმოქმედებად არ ჩათვლება აღამიანს, უნდა ვიფიქროთ, მოუმწიფებლობის ბრალია და ბ. თუმანიშვილს ნება არა ჰქონდა თავს ეღვა ასეთი მძაპე საკითხის გადაქრა და განსაცდელში ჩაეყინებინა საერთო საქმე. ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ დრო არის შესწორდეს ეს მხარე დანაშაულისა და ბ. თუმანიშვილი სხვებთან ერთად უნდა ეცადოს დაიხსნას ჩვენი გზა სხვის გზასთან შეერთებისაგან. მით უფრო, რომ ეკონომიურად ეს არავისთვის არაფერს საზიანოს არ წარმოადგენს და საშვილიშვილო სამდურავსაც აიციდენს.

მართალია, არის კიდევ ერთი გზა. რომ მთლად აღვადგინოთ ამ გზების მნიშვნელობა ჩვენთვის, — შევიძინოთ ორთავ გზების აქციების ნახევარზედ მეტი, — მაგრამ ამის განხორციელება მეტად ძნელია, რადგან გზის ამუშავებისათანავე ეს ქალაქდები ბირჟის საამაშო იარაღად იქცევა და, თუ გზა მოკებიანი დადგება, — „ყურთაგლეჯაში“ ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ.

ამიტომ მთელი ქართველი საზოგადოება უნდა მოეკიდოს ეხლა ერთად ერთ გზას, რომელიც ნაჩვენები აქვს დიმიტრი ჩოლოყაშვილსაც (ერთ-ერთ მეთაურთაგანს ამ გზის გაყვანისას) „სახალხო გაზეთში“ № 723, რომ კახეთის რკინის გზა გამოავალკევოთ, როგორც ცალკე შტო და არ გადავაქციოთ სიღნაღ-ბაქოს გზის ნაწილად. ეხლან-

დელ მდგომარეობაში საუბედუროდ ეს ერთად-ერთი რეალური და მიზან-მისაღწევი გადაჭრაა საკითხისა.

ყოველ შეგნებულ ადამიანს უნდა ახსოვდეს და ესმოდეს ეს, და დიდად დამნაშავე იქნება საზოგადოების და ქართველ ერის წინაშე ყველა ის, ვინც ამას ხელს არ შეუწყობს და მოლაღატე — ვინც ხელს შეუშლის. ეს საქმე — საშვილიშვილო საქმეა, ამას მოსდევს ეკონომიური ალორძინება კახეთისა და გამდიდრება ეროვნული თანხებისა.

ამას მოსდევს გაძლიერება შეგნებისა და გამოჩეკა ახალი და მძლავრი ეკონომიურ-კულტურულ ძალისა. მაშ მხედ და გულმოდგინეთ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს და ყველა ღონის ძიება ვიხმაროთ, რომ ეხლაც სახელი არ გავიტეხოთ, უწიფურობა არ გამოვიჩინოთ და საშვილიშვილო საქმეს ღირსეულის შეგნებით და დარბაისლურის ძალით პირი ჩვენკენ მოვაბრუნებინოთ.

არავითარ საშუალებას არ უნდა დაერიდოს ადამიანი ამისთანა მნიშვნელოვან საქმეში. დროებით მაინც უნდა მოისპოს ყოველი ჩვენი პარტიული, ჯგუფობრივი ან კერძო უსიამოვნებანი, უნდა შევირიგდეთ ერთ აზრზედ, რომ ეს საქმე ფრიად სასარგებლო საქმეა და დავიხსნათ იგი საფრთხიდან, რომელიც მას მოელის.

რ. გ.

სომხები საქართველოში

როდესაც ქართველები სომხებზედ ლაპარაკობენ, სახეში ჰყავთ ის სომხები, რომლებიც საქართველოში მოსახლეობენ. არამც თუ შორეულ ადგილების სომხები, თვით მოსამზღვრე განჯის გუბერნიის სომხებიც კი არ შედიან დამოკიდებულების იმ სფერაში, რომელსაც ქართველ-სომხთა ურთიერთობა ჰქვია. აქედან ცხადია, რა უსამართლოა ის აზრი, როცა ჩვენ საზოგადოთ სომხების სიძულვილს გვიკვირებენ.

ქართველ-სომხთა დამოკიდებულობა საქართველოში კი სულ სხვა ნიადაგზედა სდგას და შესაძლებელია ჩვენი საურთიერთო სიმპატიაც სხვა ფასისა იყვეს. — და რომ ეს სიმპატია არც თუ ისეთი ფასისა ყოფილა, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნდათ, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ თვით ისეთი იდეალისტიც კი ქართველ-სომხთა ურთიერთობისა, როგორც არჩილ ჯორჯაძე იყო, ერთ თავის უკანასკნელ წერილში ამბობს — სამწუხაროდ

სომეხ ქართველთა ურთიერთობას ზიანი შეეპარა და ეს ზიანი არც ერთს კეთილს არ დააყრისო. არჩილ ჯორჯაძე უკანასკნელი არ არის, და სომეხ-ქართველთა სოლიდარობას კიდევ ჰყავს მცველები ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ, ჩვენის აზრით, რამდენადაც უფრო ნაკლებს იყვირებენ ეს წრეს გადასული მოთაყვანენი არ არსებულ სოლიდარობისა, იმდენად უფრო მალე შევავანებინებთ ერთმანეთს ჩვენც და სომხებიც, რომ ეს სოლიდარობა აუცილებელია.

საქიროა, ჩვენცა და სომხებმაც შევიგნოთ ერთმანეთის უფლებანი. აი, მთავარი პირობა, ურომლისოდაც ჩვენ, ვერა თუ ვერ მოვირიგდებოთ, ვერც კი გავიძნობთ ერთმანეთს.

საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა უნდა შეიგნონ ის აზრი, რომ საქართველოში პარტელობა ქართველებს ეკუთვნით. როცა სიტყვა „პარტელობას“ ვხმარობთ, ჩვენ სახეში მათი, სომხების, უკანა რიგში ჩაყენება კი არა გვაქვს, სახეში გვაქვს ინტერესების პარტელობა. თუ ისინიც იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენი ეროვნულის ცხოვრებით ვსცხოვრობთ, ვიმყოფებით ჩვენს მიწა-წყალზედ და ჩვენცა გვაქვს რამე იდეალი, მაშინ მათ ისიც უნდა აღიარონ, რომ საქართველოში გაბატონებული ინტერესი — ქართული ინტერესი უნდა იყოს. ეს ისეთი მარტავი ფორმულაა, რომ მას არავითარი ქართული სპეციფიური თვისება არა აქვს. გადიტანეთ ეს ფორმულა რომელ ხალხშიაც გინდათ, რომელ ტერიტორიაზედაც გინდათ, იგი ყველგან ეროვნულ ცხოვრების თავი და ბოლო იქმნება. თვით უკეთილშობილესი თეორია ერთა თანასწორობისა მას წუნს ვერ უპოვნის. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებს ჰგონიათ, რომ მათაც სწორედ ისეთივე, მაგრამ სომხური ინტერესი აქვთ აქა, როგორც ჩვენ. რაკი სომხები ასე ფიქრობენ, ჩვენ, რასაკვირველია, აღარ გვაოცებს ის შედეგიც, რომელიც მოსდევს ასეთ აზროვნებას. ცხადია, ეს ინტერესები ერთმანეთს უნდა დაეჯახნენ და ამის მავალითები ხომ რამდენიც გნებავთ იმდენი არის ქართველ-სომხთა დამოკიდებულებაში. სომხებს ჰგონიათ, რომ მათი ინტერესები საქართველოში იმავე ზომისავე და იმავე მოდგმისავე არიან, როგორც ჩვენი. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. საქართველოს საკითხი საქართველოში უნდა გადაწყდეს, მაგრამ სომხეთის საკითხი კი ვერ გადაწყდება საქართველოში. განა

მარტო აქედანაც ცხადთ არა სჩანს, თუ რამდენად პრივატულია სომხური საკითხი საქართველოში. მაშასადამე, თუ სომეხთა საკითხს საქართველოში ფართო ეროვნულ-სომხური ხასიათი არა აქვს, მაშ რომელ სომხურ ინტერესზედ შეიძლება მსჯელობა? მაგრამ არის ერთი ინტერესი კიდევ, — ეს არის უმცირესობის ინტერესი. ინტერესი იმ სომხობისა, რომელიც საქართველოში უმცირესობას შეადგენს და შესაძლებელია ქართველთა უმრავლესობამ დაჩაგროს იგი.

ამაზედ ლაპარაკი სომხებს არ აეკრძალებათ, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც თუ საქაროა ჯერ ამაზედ ლაპარაკი, რადგან სიცილის მეტს რას გამოიწვევს განა ის აზრი, რომ ქართველები სომხებს სჩაგრავენო. ასეთი ფაქტი არ არსებობს. ხოლო რაც შეეხება მომავალს, რომ სხვა პირობებში ქართველები დასჩაგრავენ სომხებს — სად გეგონილა ჯერ არ არსებულ დაჩაგვრისთვის ეხლავე დაჰკომონ ჩვენი მომავალი და ინტერესთა წინააღმდეგობა გამოაცხადონ.

კანონი ნებას აძლევს ადამიანს ყოველივე წინასწარი ზომა მიიღოს თავის არსების დასაცავად, მაგრამ აქედან იმ უცნაურ აზრის გამოყვანა კი არ შეიძლება, რომ იგივე კანონი ნებას აძლევთ ადამიანი მოკლათ იმ მოსაზრებით, რომ მას შეეძლოთ თქვენი მოკვლა.

ამ პატარა მაგალითიდანაც ცხადია, თუ რა შეცდომას სჩადიან საქართველოში მცხოვრები სომხები, როცა ქართულ ეროვნულ იდეის წინააღმდეგნი არიან იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ შეგვიძლიან მათი ოდესმე დაჩაგვრა.

მომავალზედ ჩვენ უფრო უკეთესი წარმოდგენა გვაქვს. ჩვენა გვეგონია, რომ ღმერთი მარტო ქართველების მწყალობელი არ არის და თავისი კერძი ღმერთი სომხებსაცა ჰყავთ. ამიტომ თუ ჩვენ მუდამ ვოცნებობთ ქართველთა უკეთეს მომავალზედ, ხანდახან მაინც ვფიქრობთ სომეხთა მომავალზედაც და როცა ეს უკანასკნელი წინ გვეშლება, ჩვენ გვეგონია, ეს მომავალი აღმოცენდება ყოველ შემთხვევაში არა აქ, საქართველოში, არამედ სხვა ადგილებში. საქართველოს სომხობა სულ უმცირესი ნაწილია სომხის ერისა, (რომელსაც ბინადრობა თავის საკუთარ ადგილზედა აქვს) ამიტომ ჩვენი მათდამი დამოკიდებულება არ არის დამოკიდებულება ორის ერისა. მომავალი ვერავითარი სახელმძღვანელოა ერთა შორის განწყობილებისათვის, ხოლო რაც შეეხება წარსულს, განა იგი საესებთ არ ამ-

ტუციებს ჩვენს კეთილ განწყობილებას იმ სომხებისადმი, რომლებიც საქართველოში სცხოვრობდნენ. მაშასადამე სომხები უნდა დაჰყაბულდნენ თავიანთ მღვდმარეობას საქართველოში და უნდა იცნონ ჩვენი უფლებანი ჩვენს სამშობლოში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ არ არის ერი აზიაში თუ ევროპაში, სადაც ისინი არ სცხოვრობდნენ, მაგრამ არც ერთ ერს არ აუღია ხელი თავის უწმინდეს უფლებებზედ. იყო ჩვენს ცხოვრებაში ისეთი დრო, როცა ჩვენი უფლება ჩვენ დაუთმეთ სხვას, მაგრამ ეს იყო ორთავიანი არწივი და ანგარიშიც სხვა იყო მაშინ. მაგრამ რის გულისათვის უნდა დაუთმოთ ჩვენი უფლება მათ, რად უნდა უარყუთ ის, რაც გვეკუთვნის ჩვენ ისტორიულად და რეალურად, ამის საკმაო საბუთს ვერ ვხედავთ. ძნელია ის გზა, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ, რომ ავაყვავოთ ჩვენი ძვირფასი საქართველო, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ გადავივლით მხოლოდ ჩვენ საკუთარს გვაჩებზედ და მსხვერპლად სომხის ერის ინტერესები არ იქნება შეწირული.

ა—ი.

პ რ ე ს ა

უკანასკნელი შედეგი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისა:

არჩეულია სულ 439 დეპუტატი. აქედამ:	
მემარჯვენე	143
ნაციონალისტი	59
ოქტომბრისტი	78
პოლონელი	11
ქართველი ნაციონალისტი	1
პოლონელ-ლიტველთა ჯგუფი	5
მუსულმანი	3
უპარტიო	6
პროგრესისტი	46
კადეტი	60
მემარცხენე	13
სოციალ-დემოკრატი	14

სულ — 439

ოპოზიციამ მეოთხე სათათბიროში 136 ადგილი დაიჭირა, მათში 7 ადგილი ეხლა მოიგო (მე-3-ე სათათბიროში 129 დეპუტატი იყო). ოქტომბრისტებმა დაჰკარგეს 55 დეპუტატი თავის ბელად ა. ი. გუჩკოვით. ძალიან მოიგეს მემარჯვენეებმა — 91 ადგილი (მე-3-ე სათათბიროში 52 დეპუტატი იყო).

მე-4-ე საათობიროს პატრონი იქნებიან—მე-მარჯვენენი, ნაციონალისტები და მემარჯვენე მხარე ოქტომბრისტებისა.

„რუსკოე სლოვო“

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჩხეიძეს თავისი კანდიდატურა წამოუყენებია პეტერბურგშია და როცა უკითხავთ ს. დ—ვის ამ უცნაური ამბის შესახებ, უპასუხნიათ:

— ჩვენ ჩხეიძე დასახლებული გვეყავდა მისი თბილისში არჩევის წინა და ესლა საჭიროდ არ მიგვაჩნია მისი კანდიდატურის მოხსნა. თუ პეტერბურგშია არჩევენ, მაშინ უარს იტყვის თბილისის დეპუტატობაზედა.

ჩვენმა ჟურნალმა უკვე აღნიშნა, რომ ჩხეიძე ქართველების დეპუტატი კი არა, რუსეთის პარტიის დეპუტატი და ეხლა უფრო აშკარად სჩანს ესა, ზემოდ მოყვანილ ფაქტიდან. უეჭველია, ჩხეიძე არ დახანებდა და თავის ადგილს, თბილისიდან ამორჩეულისას, დაუთმობდა სოლოლაკელ ხატი-სოგს, რომლის პარტიასთან მემგობრული კავშირი ჰქონდა. და იქ, სათათბიროში.... ნეტა რა ლათაიებით დაუტკობდნენ ერთმანეთს სმენას ეს ორი „საქართველოს“ წარმომადგენელი?

ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, ჯერ ქუას წაართმევსო, ნათქვამია, და რა არის, თუ არ ამისთანა ღვთის წყრომა, უკანასკნელი წერილები „თემისა“. აკაკის გარშემო ასეთი უღიერი და უსიროცვილო კამათის ამტები გაზეთი, ნუ თუ არა გრძობს, რა ყალბ მდგომარეობაში აყენებს თვით აკაკის, რომელიც, სწორედ როგორც პატრიოტი, როგორც სასიობლოს მოტრფიალე, აოასოდეს არ მოექცეოდა ს. დ—ების ბაბაკში, ყოველს ალღოს, სისრფელესა და პოლიტიკურ აზროვნების უნდა იყვეს ნოკლებული ადამიანი, რომ ასეთი ცილი დასწამოს ჩვენს მგოსანს. და აკი გამოაშკარავდა კიდევ, რომ აკაკი ს-დ. ბანაკისა არ არის. მაშ უბოლო ინციზდენტს, აკაკის სამართლიან გაშავებისას, რად აქაფებს საბონივით და რათა ჰგერავს ბატონი გრიგოლი? ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო და როცა გაუქლავდა—ხლა გრიშაშვილზედ ყრილობა ჯავრსა. ჩვენ არ გამოუდგებიით იმას, თუ რამდენად საკადრისია გამოქვეყნება დაუბეჭდავი ლექსისა, მაგრამ ამისათვის უშვერი ღანძღვა, ჯანუქისა და დამსმენის სახელის წოდება ყოვლად უმსგავსია პატიოსან ჟურნალისტისათვის. გადაკვრით ლაპარაკი იმაზედ, რომ გრიშაშვილზედ „ხმები დადის“ და სხვა, ეს გზა დაბნეული აღა-

მიანის არგუმენტი, მეკორესი, რომელსაც საბუთები არა აქვს და ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის ინსინუაციებს მიმართავს ხოლმე. ეს პირველი არ არის თემის რედაქტორისაგან და ჩვენ მოვალეთა ვრაცხთ ჩვენს თავს, გავაფრთხილოთ ყოველი ჟურნალისტი ასეთ დასაგმობ საქციელისაგან.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დროს ჩვენს პრესას დაქვეითება ეტყობა ზნეობის მხრივ და ყველაზედ მეტი ღვაწლი ამ დაქვეითებაში მიუძღვის „თემის“ რედაქტორს, რომელიც არავითარ მლიქვნელ სიტყვას არ ერიდება, რომ თავისი მოპირდაპირე გააწბილოს.

ნეტა თუ რა ალაგმავს ისეთს ადამიანს, რომელიც გულდფშუტასავით, თუ ხელი ახლე, მაშინვე მტვერი და ცუდი სუნი აუვა.

P. S. გულის წყრომით უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. დიხამიძის ყოველს ტაქტს მოკლებულმა და ნართაულმა ლაპარაკმა იძულებულ ჰყო არჩილ ჯორჯაძე—უარი ეთქვა მცირე პენსიაზე, რომელსაც იღებდა წ. კ. საზოგადოებრიდან; იმ პენსიაზე, რომელიც ჯან ვატეხილ მწერლისათვის ერთად ერთი ცხოვრების წყარო იყო.

დიდებული ადამიანი

1559

დიდებული ადამიანი იგივე მალლობი ადგილია, რომელზედაც მიცოცავს ყოველი პატარა კაცუნია, რომ იქიდან უფრო დიდით მოეჩვენოს ყველას. გინება დიდებულ ადამიანისა, ქება მისი, გამოქობაგება დიდებულ ადამიანისა და მისი ადგილის დაკავება—მუდამ საყვარელი საქმე იყო პატარა კაცუნებისათვის.

უდიდესნი მპყრობელნი ქვეყნისა მოკრძალებით ისხდნენ თავიანთ ძღვევა-მოსილ ტახტზედ; იხოცებოდნენ და თან მიჰქონდათ თავიანთი დიადობა. მიჰქონდათ, რადგან ყოველი დიადობა მხოლოდ „სულში მდგომარებს“. სტოვებდენ „ცარიელ“ ადგილს თავის შემდეგ, მაგრამ რა სიამაყით აღიოდნენ იმავე ტახტზედ უდიდესნი ჩამომავალნი დიდებულებოვან ადამიანისა.

თუ „იარაღთ მტვირთველი“ რაინდობამ შეჰქმნა, „ბატონის“ ხმლის მტვირთველი პაეი, ფერუმარულ წასმული და თამა-დახუშუქებული, ნაყოფი იყო იმ ატმოსფერისა, როცა ძღვევა მოსილ ტახტზედ უდიდესი ყუათის პატრონი აღიოდა, დიდება მამისა, თავის დიდებად მიაჩნდა, მახვილი მისი—თავის ძლიერების ემბლემად; მაგრამ, რაკი იგივე მახვილის ზედ შემოსარტყმელად წელი არ მოსდევდათ, მას აზიდვივდნენ სწორედ ამ პაეებს და ოდესღაც მრისხანე რეგალია ძლიერებისა, ლოყა-წითელ პაეების ხელში სათამაშოდ იყო ქცეული.

უკვე ძველმა ქვეყანამ აღნიშნა ტრაგედია დიდებულის სულია იმით რომ: „პატროკლი აღარ იყო და საზოზლარი ტერსიტი კი პარპაშებდა“.

დიდებულ ადამიანებს თავისი ბედი ისე სიცოცხლის დროს არ აწუხებდათ, როგორც სიკვდილის შემდეგ.

— რას უტოვებთ ქვეყანას? ეკითხებოდნენ მომაკვდავ ნაპოლეონს.

— არაფერს, მივდივარ მთლადი თან მიმაქვს მთელი ჩემი დიდება, რომ ადამიანებმა ისიც ისე არ დაფუშონ, როგორც ჩემი იმპერია.

მაგრამ ადამიანებს განა რისამე უებრალება აქვთ?!

ქლექიანი პროფესორი, რომელსაც ყუათისათვის უბეში მუდამ ნიშადურის შუშა ედო, ალექსანდრე მაკედონელზედ ლექციას კითხულობდა და სტრატეგიას უწუხებდა. განა ეს საკმარისი არ იყო, რომ კარლ მოორს ყაჩაღად გავარდნილიყო!

დიდებულ ადამიანებს არამც თუ აძაგებდნენ, აქებდნენ კიდევ და რამდენი ყალბი, ანგარებით სასესე გრძნობა ყოფილა ამაში გამოთქმული!

მაგრამ უმწვერვალესად მაშინ გამოდიოდა მოკრძალება თავის ქურქიდან, როცა დიდებულ ადამიანის დასაცავად ამხედრდებოდა თვით არარაობა.

— დიდებული ადამიანი განსაცდელშია! ამბობდა არარაობა და გამოდიოდა მის დასაცავად. პატარა ქვარტლიან ქრაქს მზის განათება უნდოდა, პატარა წუმპეს—ზღვის მორწყვა!

მაგრამ არარაობას, როგორც ქკუა მოკლე არსებას, ის უმთავრესი გარემოება ავიწყდებოდა, რომ დიდებული ადამიანი თუ განსაცდელში იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ თვით ცა იქცევოდა და როცა იგი მის მფარველად გამოდიოდა, განა იგი იმ ქინქრაქას არა ჰგავდა, რომელმაც ფეხები მალლა შეიშვირა:

— არიქა, ცა იქცევა, ცას უშველოთო!?

და ათასჯერ მართალი იყო დიდებული სოკრატი, როცა ვეკილზედ უარი სთქვა და თავისი ფიალა ძირამდე დაცალა: „არ მინდა ჩემი ფასის შემცირებაო“.

რას ნიშნავდა „გამართლება“ ბერძენ სოკრატისათვის, რომლის სამშობლოს ფილოსოფიამ იმ ზომამდე მიადწია, რომ შემდეგში არისტოტელი საქვეყნოდ აღიარებდა:

— ბერძენს მონობა არ უშვეენისო!

როცა კანონი უკიდურეს სილამაზეს აღწევს,

მაშინ იგი ესთეტიკაში გადადის და ადამიანიც მაშინ სოციალურ კანონს კი არა, სოციალურ ესთეტიკას ემორჩილება. და ყველა ამის შემდეგ, ვეკილით გამოსყიდული სიცოცხლე განა წაწყვიდა არ იქნებოდა სოკრატისათვის? იმ სიცოცხლისა, რომელსაც მისთვის უმალღეს სოციალურ ესთეტიკის მნიშვნელობა ჰქონდა.

აი, ფაქტები დიდებულ ადამიანთა ცხოვრებიდან! სულის სიდიადეს, უმალღეს გონიერებას მუდამ სძაგდა არარაობა, სძაგდა მისი ქომაგობა, მისი სარჩლი, მაგრამ ტრაგედიაც იმაში მდგომარეობდა, რომ არარაობა მუდამ ვეკილობდა მას.

წარსულ არჩევნებში გააშავეს აკაკი წერეთელი. მე რომ მკითხოთ, ყველაზედ დიდი სიურპრიზი არჩევნებისა ის იყო, რომ სოლოლაკის ბურჟუაზიამ სოციალდემოკრატი ჩხეიძე აირჩია დებუტატად, მაგრამ, რაკი არიან ისეთები, რომლებიც ამ სიურპრიზზედ უდიდეს სიურპრიზად აკაკის გაშავებას სთვლიან,—ჩვენც ამაზედ ვილაპარაკებთ.

თავის თავად ეს ფაქტი კურიოზია.

ამ დამარცხებით და გაშავებით არც ქეშმარიტება შებღალულა, არც თვით აკაკი წერეთელი.

ეს, თუ გნებავთ. ერთგვარი ეფექტია!

ეფექტი, როცა კოზირი ხალხს მოუვიდა და კოზირმა სხვა მასტის ხელმწიფე მოკლა!

უფერული და მოსწყენი იქნებოდა იმ ხალხის ცხოვრება, რომელმაც დროზედ ხუმრობა არ იცის. და აკაკი წერეთელიც ამ არჩევნებში სწორედ ის „სხვა მასტის ხელმწიფე“ იყო, რომელიც ხუმრობით მოკლა სულ პატარა კოზირმა.

ეს რომ სხვაგან მომხდარიყო, რასაკვირველია, გაზეთებში მხოლოდ აღნიშნავდნენ ამ კურიოზს, რადგან არც თუ მნიშვნელობას არის მოკლებული, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია ისეთი საზოგადოება, რომელიც ამის გამოისობით ჯვაროსანთა ომს გამოაცხადებდა.

ჩვენში კი სულ სხვა მოხდა.

დიდებულ ადამიანის დასაცავად, მის საქომავოდ ამხედრდა ჩვენებური არარაობა.

არარაობა ვატმანების სახით!

არარაობა მამულიშვილების სახით!

არარაობა დასელებების სახით.

— ზეცის მოციქული გააშავეს! ჰყვირის არარაობა.

და ქვარტლიან ქრაქს სურს მზის განათება!

პატარა წუმპეს—ზღვის მორწყვა!

და ამ საზოგადო ზარში და ზეიმში, ამ საეროვნო, ვითომდა საეროვნო მწუხარებაში, თვით უგონიერესი ადამიანებიც კი ვერ ამჩნევენ რა ანგარი გრძნობა არის დამალული, რა ფისკალური ზრახვაა გახვეული ამ გოდებაში.

დემაგოგია ხალხის გულში მუდამ სიმს ეძებდა, რომ თავის ქვენა მისწრაფებათა ასასრულებლად აეყვარებინა იგი. და რა დღეს შევესწარიო!

მან იპოვნა ჩვენი ხალხის გულში ყველაზედ უტკბესი სიმღერა—აკაკი წერეთელი.

ჩამოდექით! დღეს დემაგოგია უკრავს ამ სიმღერად!

ფარსმან ფარუხი.

შემატებული ლაშქარი

(რეიმონტიდან)

წვიმისაგან დამბალ გზაზე მთვრალი გლეხკაცი მობარბაცებდა.

ღვინობისთვის საღამო იყო, საღამო ცივი, წვიმიანი, ტალახიანი.

გზა დაჰკვანებოდა ქაობიანსა და საფლობებით სავსე მდინარეს, რომელიც მიიკლაკნება ხოლმე ცარიელს, შავად გამოძყურე მინდვრებს შორის.

გადაბლესილი ქვეყანა განუწყვეტელი, ტანამდე გამტანი წვიმით ტიროდა, სისველით გაქვინითილ მინდვრებს მიწის სახე მიელოთ, აჩხები და კვლები წყლით გავსილიყო, შიშველი ხეები უძლურად იხრებოდნენ გზისაკენ და სიცივისაგან და სინესტისაგან კანკალებდნენ.

სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა მინდვრები.

გლეხკაცი ძალზე აქეთ-იქით გადაღ-გადმოდიოდა, ბორძიკობდა, ივინებოდა, მაგრამ მაინც აჩქარებული მოადგამდა ფეხსა. ერთ ადგილას შეჩერდა და მთვრალი, ხრინწიანი ხმით დამღერა:

ცოცხალი ვარ,
ქვეყნისა ვარ,
მოვკვდები და მიწისა ვარ.

მაგრამ სიმღერამ უკუ ვერ გამოიწვია, მოდუნდა სველ ჰაერში და სიბნელეში გაფანტა მიუხედავად ამისა, ხმა მაინც გაიგონა ადამიანის ერთმა რაღაც აჩრდილმა, რომელიც მოჩანჩალებდა გზაზე რამდენიმე ათეული ნაბიჯის სიშორეზე, შედგა ერთ წამსა და გულაჩქაროლებული, შეშინებული მიამალა გვერდზე მდგარ ხეების ქვეშ, საცა უფრო ბნელოდა.

გლეხკაცი მალე ისევ გაუდგა გზას ჩქარის ნაბიჯით, მაგრამ ფეხი რაღაც ქვასა თუ ხის ფესვს წამოჰკრა და კუნძივით ტყაპანი მოიღო ტალახში.

კარგა ხანს არაფერი ისმოდა, გარდა წვიმის გაქიანურებულ, დაუსრულებელ წკუმპვლისა და ფოთლების აკანკალებულ, ნერვიულ შრიალისა.

ვნახოთ აჩრდილმა წინ წამოიწია, მთვრალისაკენ დაიხარა და გაისმა წყნარი ხმა:

— მეპატრონე, ჰა მეპატრონე!

გლეხკაცი თითქოს გამოირკვაო, შეეცადა ადგომას, მაგრამ უძლური ფეხები და ხელები ტალახში უსხლტებოდა და ვერაფერს აყრდნობდა. გონებადაკარგულმა, რა კი ვერ მოახერხა ადგომა, მოიკილათა რამდენადაც შესაძლო იყო მოხერხებულად და ბურტყუნით ძილს მისცა თავი.

— რბილადა ხარ აქა და თბილადა, იწექ, მეპატრონე, იწექ... იძახდა მთვრალი ბურანში.

— ადექით რაღა, წყალმა ხომ სულ დაგფარათ.

— ჰაი, ძაღლო, თუ მოგდე ჯოხი, მაშინ ნახავ შენ სეირს,—წამოიყვირა მრისხანედ გლეხკაცმა.

— მეპატრონე!

— გეუბნები, ნუ მალვძებ-მეთქი, დედაკაცო, თუ შენ კეთილი გინდა.

— მთვრალი ხარო, მთვრალი, ღორივით გდიხარო ტალახში.

— მთვრალი! მერე არ გითხარი შენა: ურიავ, მომე, არაყა და არა სპირტი-მეთქი, არ გითხარი? ნახავ თუ ე კიკინები არ დაგაგლიჯო შე წყეულო... ჩუმად, დედაკაცო... მეპატრონეს ალბად უნდა და წევს, გათავდა და მორაჩა, აქ შენ საქმე არა გაქვს, შენ დედაკაცი ხარ... ჩუმად დედაკაცო... იწექ, მეპატრონე... მოჯამაგირებები იმუშავებენ შენთვის... საქონელი იმუშავებს... იწექ, მეპატრონე... მოისვენე..

მაგრამ ქალი მოსვენებას არ აძლევდა: იქამდე აჯანჯლარა და ეწია, სანამდე ცოტათი არ მოიყვანა გონსა და ფეხზე არ წამოაყენა.

— მარცხა,—წამოიძახა გლეხკაცმა, როცა დაცქერდა ქალსა და იცნო.—მარცხა,— გაიმეორა უგონოდ და ჩამოიფხატა ქული შუბლზე. მერე ბარბაცით, მაგრამ აჩქარებულის ნაბიჯით გასწია წინ. ისე მიეშურებოდა, რომ გვეგონებოდა, რაღაცას გაურბისო. მალე მისი ფეხის ხმა წვიმის წკუმპვლაში მისწყდა.

მარცხა კი ძლიერ უკან ჩამორჩა. ფეხი ვერ აეჩქარებინა, მძიმე-ძძიმედ მოდიოდა, რადგანაც

ფეხსაცმელები უხსლტებოდა ტალახში და ეგებოდა წყლითა, რომლისაც წამდა-უწუმ გადაღვრა უხდებოდა. ძლივ-ძლივობით სდგამდა ფეხსა რადგანაც ამოღუმპული ტანისამოსი სიარულს უძნელებდა. მკერდში შალში გამოხვეულს ბავშვს იკრავდა.

დაღამდა. ქვეყანა თანდათან უკუნეთმა მოიცვა.

ქალი აცეცებდა თვალებს სიბნელეში, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა, და მიიწევდა წინ თითქმის გონებადაკარგული, ცოცხალ-მკვლარი.

უფალო იესო! მოწყალეო! — ამოხდა გულიდან ხაწყალს და მწარე, მქენჯნავა დარღმა თვალებიდან ცხარე ცრემლები გადმოაფრქვევინა.

ცოტა კი არ დაეღვარა მარცხას ამგვარი ცრემლები!

ბევრჯელ შეუტირნია ხალხისათვის, ქვეყნისათვის, ბევრჯელ გამოუტირნია თავისი მწარე ხვედრი, თავის ობლობა.

ობოლი იყო, ობილი უსახლკარო. მოდიოდა ამ ქვეყნად უბატრონოდ, როგორც შავი ღრუბელი, რომელიც ხან სად და ხან სად მძიმედ მოიხლახნება ცაზე, როგორც ნოტიო ქარი, რომელიც ხან სად და ხან სად ეშვება მინდვრებიდან და იკარგება უგზო-უკვლოდ აი ამ ღვინობისთვის საშინელ ღამესავით.

არც მოწყალება ჰქონია ვისგანმე, არც დახმარება, არც შებრალება.

უწყალო ბედმა გამოაგლო გარედ და მისცა დაღუპვის გზასა. უბედურს მხოლო ცრემლები, ტანჯვა და კვნესლა ჰქონდა თავის დასაცავად ძაღლის ლეკვივით, რომელსაც ჯერ კიდევ თვალაუხილავს აშორებენ დედას, აგდებენ ორმოში და საცოდავი წკავწკავის მეთი აღარა დარჩენია რა თავის გადასარჩენად.

— უფალო იესო! — ამბობდა კვნესით მარცხა დრო გამოშვებით.

ამ ღამემ ნელ-ნელა შიში ჩაუნერგა ქალს გულში. ტყუილად ცდილობდა მოეკრა სადმე თვალი სინათლისათვის, ყველგან დაუსრულებელი წყვილი ადი სუფევდა; სოფლები ისე იყო სიბნელით მოცული და მიჩუმებული, რომ გეგონებოდა, ყველანი ამოწყუდნენო. არც ცხენის ურმის სიარული ისმოდა სადმე, არც ადამიანის ხმა. ძაღლებიც კი არა ჰყეფდნენ. ყველგან სამარისებური სიჩუმე იყო. აჭირებდა საქმეს მხოლოდ გაჭიანურებული წვიმის წკუმპვლა.

ბავშვმა საცოდავად წუწუნნი დაიწყო.

— ჩუმად, პატარავ, ჩუმად... სთქვა დედამ და ჩაულო ბავშვსა გამხმარი და გამომშრალი ძუძუ.

შორიდან ოდნავ გასაგონი წყლის შხუილი შემოესმა.

— წისქვილია, წისქვილი! — წაიჩურჩულა და ყური დაუგლო.

რალაც იმედი გაეღვიძა გულში, დაიძრა ადგილიდან და ხალისიანად გაუღდა გზასა.

მარცხა კანკალებდა ლოდინისა და გაუბედაობისაგან

— პეტრუს! პეტრუს! — აცოდვილებდა ტუჩებს საწყალი. — არ გამოგადებს განა, არა! როგორ შეიძლება! — ფიქრობდა და, მოულოდნელად, განცხოვლებული სიყვარულით ძალზე იკრავდა მკერდში ბავშვსა. — პეტრუშენკა!

ნელ-ნელა ქალს ტანჯვისაგან უკვე გაველურებული გული მთლად სინაზით გაემსქვალა. ხელო ახლად წარმოუდგენ თვალ წინ მოგონებანი გახაფხულისა! მწუხარების ცრემლებს შორის გამოსქვიოდა განვლილი ნათლით შემოსილი წუთები. თვითეულ მოგონებაში უმთავრეს პირად ის იყო, პეტრუსი!

მშიერმა და გაცრეცილმა ბავშვმა ისევ დაიწყო ტირილი.

— გაჩუმდი! შენ! — წაიბურტყუნა მარცხამ და თან ხელი აზიდა, თითქოს უნდა ჩაართყასო...

— როგორ შეიძლება? ეს ხომ იმისია, — მოუსვენრად გაუბრინა თავში აზრმა და ზეაღგზნებით დაუწყა კოცნა ბავშვის სველ პირი-სახეს.

ხმაურობა აშკარად ისმოდა, შეიძლებოდა გაგერჩია წისქვილის ბორბლის რახუნი.

წვიმა კლებულობდა, მაღლა ქარი უბერავდა ტოტებს ალვის ხეებისას, რომელნიც ჩონჩხებივით იდგნენ მწყრივად გზის ორივე მხარეს, ირხეოდნენ და მრისხანედ ხმაურობდნენ. ტყიდან კიდევ ისეთი წყნარი სევდიანი ხმა მოდიოდა, რომ გეგონებოდათ ბნელაში ხეები ჰკვნესენო, გეგონებოდათ სადმე ტირილია და ღამეში და წვიმაში იკარგებოდა აგორებული და არეული უზარმაზარი ღრუბლები, სწრაფად მიექანებოდნენ დაბლა დაწეულ ცაზე.

რალაც შიშმა გადაუბრინა დედამიწისა, ავმა და ძლიერმა შიშმა, რითაც მარცხას გული აევსო. შემკრთალი თვალით გადახედა გარემოს ქალმა, ჩამოიწია მანდილი შუბლზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკურცხლა იქით, საიდანაც უფრო და უფრო ახლოს ისმოდა წისქვილის ხმაურობა.

გაქცეულს ქარი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და უკან მისდევდა, ხან ზურგში სცემდა და წელში ჰხრიდა მიწამდე, ხან წინ ურბენდა და სახეში წუმპვებიდან წყალს ასხამდა, ხან წვრილ ტოტებს აყრიდა, ხან კიდევ ისე მომწვევლელად ჩასწუწუნებდა შიგ ყურში, რომ ქალი დგებოდა და სულს იბრუნებდა.

მწკრივად ჩამორიგებული ალვისხეები ისეთ ნაირად ირხეოდნენ, ისეთ რაღასაც უჩურობდნენ, რომ მარცხა შიშისაგან იღვინდა. ქალი გრძობდა და თავის თავზე მათ მძლავრ ღეროებს, შემოგლეჯილ, შაშველს, ბრკალებს მსგავს ტოტებს, რომელნიც იწეოდნენ წინ, სწვდებოდნენ მხრებში, ჰგლეჯდნენ მანდილსა, უკაწრიდნენ პირისახეს, და თავზარდაცემული ვარბოდა.

საწყალი მხოლოდ მაშინდა დამშვიდდა, როცა წისქვილის ჯებირზე გაჩნდა.

წისქვილი დაბლა იდგა; მისი სახურავა ჯებირისა და სიბნელეში დაღვრემილად მობჰყვრილ ტბის პირის-პირ მოდიოდა. წისქვილს გარს ეხვია შავი მურყნები, რომლებიც ისე ახლო-ახლოს ამოსულიყო, რომ მათ შუა ვავლა შეუძლებელი ხდებოდა. ამ ტევრში წყალი გადმოდიოდა თვლებიდან, ჰქუხდა და შხაპუნი გაჰქონდა.

უშველებელი შავი შენობა ხანზარებდა და გრიალებდა.

მარცხა ფრთხილად დაეშვა ჯებირიდან დაქანებულ ბილიკზე და წისქვილში შევიდა. იქვე ზღრუბლთან რაღაც ფქვილის ტომარას დაეცა სულის მოსაბრუნებლად.

წისქვილის შიგანი ბრმასავით გამოიყურებოდა, თითქოს მთლად ბისტი აქვს გადაკრულიო. ქერში ჩამოკიდული სანათი სუსტს მოწითანო შუქს იძლეოდა, რომელზედაც გაარჩევდი საფეხურების რიგსა და მანქანებს.

ყველაფერი ინჯღრეოდა, ხტუნავდა, მოძრაობდა ფქვილის მტვერში, აჩქარებული მუშაობდა. ირყეოდა ლიბი იატაკი, ირყეოდა თეარი კედლები. ირყეოდა ქერი, საიდანაც ჩამოშვებულიყო ფქვილით გამტვრიანებული ობობას ქსელები; ირყეოდა გრძელი თეთრი ყუთები, მათ უკან კიდევ რუხე სიღრმეში მოძრაობდა უზარ-მაზარი შავი თვლები, რომლებზედაც მოჰქროდა შხუილით განიერი მომწვანო ნაკადი წყლისა და ეცემოდა ძირს წვეტიან მარგილებზე გაწეწილი, აქაფებული თავით. ნაკადის ძალით ირყეოდნენ წყალში ჩადგმული ბურჯები და კვნესოდა დედამიწა.

არაფერი ისმოდა-რა, გარდა წისქვილის ბორბლების ხმაურობით სავსე მუშაობისა. მხოლოდ მაღლიდანა გაიგონებდი ხანდისხან პატარა ზარის ყურის მწვევლეს ხმას, რომელზედაც ფაცხა-ფუცხით გამოცვივდებოდნენ ხოლმი წისქვილის ერთ კუთხეში მიდგმულ პატარა ოთახიდან. ოთახი მე-წისქვილესი იყო.

მარცხა მიუახლოვდა ოთახს, ჩამოჯდა სანიავებელის უკან და მოთმინებით დაიწყო ლოდინი. ეშინოდა შიგნით შესვლა, თუმცა აშკარად ესმოდა პეტრუსას ხმა და სხვებისა კიდევ.

გამბედაობა დაკარგა,—მიეკრა თხეო კედელს და ყური დაუგდო. წამდა-უწუშ ხან ვინ გამოვარდებოდა ოთახიდან წისქვილში და ხან ვინ და თან ფეხდაფეხ სიცილისა, სინათლისა და სითბოს ტალღები მოსდევდა.

პატარა და დაბალ ოთახში, როგორც ღუმელში, ისე ცხელოდა. დიდ ბუხარში ტორფი იწოდა ლურჯი ალით.

ბუხარს გლეხები შემოსხდომოდნენ.

ჰაერი მახორკისა, ტორფისა და ნახშირზე შემწვარ თევზის სუნით იყო გაჟღერებული.

პეტრუსი ტახტზე იწვა, ტყაბუქების მთელ ხროვაზე და მასხარად იგდებდა მთვრალ გლეხსა, რომელიც სახლის შუა ადგილას ძილისაგან აქეთ-იქით იზნიქებოდა.

— ადექით, მათე, წადით სახლში, თორემ თქვენი დედაკაცი ისე გაგზნით, რომ წყალმა ვერ გაგრეცხოთ.

— მე გამზდის, მე? სახლის უფროსსა? არა!.. რბილად დამაწვენს, ღორის ქონსა და არაყს მომართმევს და შეიძლება კიდევ სხვა რამ უკეთესიც მივიღო!

— თავლაში შეგაგდებთ თქვენი დედაკაცი, აგეთ მთვრალსა!

— მთვრალი კი ვარ, მთვრალი! მართალია. განა არ ვეუბნებოდი ურიას: მომეცი არაყი-მეთქი, იმან კი წყეულმა, სპიტრი დამალეფინა... ღმერთო შენ დამიფარე და თავს წავგლეჯე, თავსა... მეპატრონემ გიბრძანა, არაყი მოიტანეო, შენც უდა გაიგონო, არა და წავგავლებ მაგ ქერა კიკინებში ხელსა და წყალში გადაგიძახებ.

— მიხეილ! ხვიმირას გასდის!—დაიყვირა მე-წისქვილემ, როცა ზარის ხმა გაიგონა.

ახალგაზრდა ბიკი წამოიქრა ფეხზე და გავარდა წისქვილში, თან კარი ღია დაავდო.

მარცხა შევიდა წყნარად ოთახში და ზღრუბლთან ახლოს დადგა.

— იდიდებოდეს სახელი იესოსი!—წაიჩურჩულა ოდნავ გასაგონად.

მეწისქვილე წამოვარდა ტახტიდან და გაცოფებით დაიყვირა:

— რაა?! გასწი დამეკარგე აქედან! შე ძუქნავ, შენა!

ქალი დაბარბაცდა, გადაავლო ამღვრეული თვალი გლეხებს, მიუგდო ტახტზე ბაშვი მეწისქვილეს და გაიქცა.

— საჩუქარი, პეტრე, საჩუქარი,—წაიჩურჩულა ვილამაც გესლიანად.

— კაი ქიანურია,—დაუმატა მეორემ, რადგანაც ბავშვმა ამდროს ტირილი მორათო.

— აიყვით ვინმე ბავშვი, ემანდ არ დაიხრჩოს.

— მერე, ძუძუს მოაწოვებთ თუ რა არის?

მაგრამ ერთმა გლეხთაგანმა მაინც წამოავლო ბავშვს ხელი და ცეცხლთან მიიყვანა. ყველამ სინჯვა დაუწყო.

— ორი თვისა იქნება, მეტისა არა...

— თქვენა გგავთ, პეტრე, ცხვირი სწორედ კართოფილს მიუგავს.

— მერე რაა, თანაშემწეთ გაიხდით და კარგსაც იზამთ.

— ან არა და სამსახურში შეიყვანთ, ცუდი ხომ არაა, ერთ-ორ კაპეიკს მეტს აიღებთ.

— თითო ტომარიდან პატარა მეტი მინდი აიღეთ და ბიჭუნაც მაძლარი იქნება,—ბოჩოლას ამაზე კარგი აღარა უნდარა!

— ღონივრად ჩხავის, იცით, პეტრე, 'შეგიძლიანთ კოსციოლის*) მეარღნედაც გახადოთ,—სახელიც არის და სასარგებლოცა: ცუდი როდი არის მიცვალებულის წირვებისა და სამარხის ფულეები.

— თუ კი თაფლი იგემეთ, პეტრე, ახლა ფიქვაც უნდა ნახოთ ქაშნიკად.

— მერე ღედაც კოხტა ჰყავს, ფეხსაცმელები თითქმის ახალი აქვს, ძვირად ნაყილია, ქვედატანი კიდევ ისეთი აცვია, რომ ათ შაურადაც ვერ იყიდი, პირი-სახე ისეთი აქვს, რომ თაბახში ვერ დასტევ! თვალსაჩინო ღედაკაცია!

— თუ ახლა კიდევ პირს დაჰბან და თავს დაჰვარცხნი მაშინ სწორედ რომ ჟრებისთვის იქნება გამოსადეგი ღუმელის გასახურებლად.

ასე შეუბრალებლად დასცინოდნენ პეტრეს, რომელიც იჯდა ტახტზე და არ იცოდა, რა ექნა. ცოფები ახრჩობდა, სირცხვილი სტანჯავდა და

ადგილიდან დაძვრა მაინც არ შეეძლო, თვალები ბავშვის თეთრი პირი-სახისათვის მიეჩერებინა და ვერ მოეშორებინა. გლეხებს გამოეხსნათ ბავშვი სველ ჩვრებიდან და ათბობდნენ. ბუბრის წინ მიყრილ ჩვრებს სვეტ-სვეტად ორთქლი ასდიოდა.

უცბად პეტრე წამოვარდა ფეხზე და გავარდა წისქვილში.

მალე წისქვილიდან გლეხებს ცემა-ტყევა და ყვირილი შემოესმათ.

— სიყვარულზედ მასლაათობენ,—სთქვა ერთმა მათგანმა.

— ვინაა ეგ ქალი?

— აი მარცხა ანტონეს ქალი „ვოლიდან“. მუშაობიდანაც გამოავდეს სახლიდანაც... სადღა უნდა წასულიყო?

— ეჰე! პეტრუსი გოგოების მტერია.

— მტერი ხომ მტერია, მაგრამ არამზადაც არის და თავლაფიანიცა.

— ჩუმაღ!—დაიყვირა ვილამაც.

— პეტრუსს!, პეტრუსს! ნუ მცემ, —ემუდარებოდა მარცხა, იხლაკნებოდა მის ფეხთ წინ. ხომ შენი არის!... ადგილიდან გამოამადეს, სახლიდან... სად წავიდე?.. სადა? ღრიღებდა საშინელის ხმით უბედური. პეტრუსმა ამ დროს კიდევ იმისთანა წიხლი სცხო გულში, რომ ქალმა ზღარ-თანნი მოიღო იატაკზე, გეგონებოდათ, ვინმემ ტომარით ფქვილი დაახეთქაო.

ერთბაშად ხმა მიწყდა, მოისმა, როგორ გაიღო გარედ გასავალი კარი, მოისმა რაღაც ფუსფუსი და ბოლოს აღარაფერი, გარდა წისქვილის რაკუნისა.

— ემანდ არ მოკლას...

— ნუ გეშინიან არა დამართება რა, ბავშვი მოიშორა და ეგ იყო, სხვა არაფერი.

— ეგ ძუქნა ეგა, დაგლო ბავშვი და წავიდა.

ბავშვმა კი უფრო და უფრო უმატა ტირილს. ერთმა გლეხმა მეწისქვილეს მაგიდაზე ნატეხი შაქარი იპოვა, გაახვია ჩვარში, დაფხვნა ქუსლით, ჩაასველა წყალში და პირში ჩასჩარა. ბავშვმა ხარბად დაუწყო წუწვნა შაქარს და მიჩუმდა. მათემ კიდევ, რომელიც სთვლემდა ამ დროს, გამოირკვა და სთქვა:

— წავიყვან ბავშვსა! ობოლია საწყალი!

— წაიყვანეთ, მაინც ხომ შენი საკუთარი არა გყავს. მაგრამ შენი ღედაკაცი რომ ერთს კარგა შეგათახავს ეს კი უეჭველია.

შემთათხავს?.. არ შემთათხავს. იქიქინებს, გა-

*) კათოლიკეთა ეკლესია.

მომლანძღამს... კეთილი დედაკაცია... წავიდეთ
 ობოლო... მეპატრონესთან წახვალ... წავიდეთ,
 ობოლო...—სთქვა ეს მათემ და უცები ლოთური
 გადაწყვეტილებით წამოდგა ფეხზე; მერე გაიწო-
 რა ტალახიანი ტყაპუქი, დაიმაგრა თავზე ცხვრის
 ქუდი და დაიხარა ბავშვისაკენ.

— წავიდეთ, პაწიავ, წავიდეთ... არც დედა
 გყავს შენა, არც მამა, მაშ მოდი ჩემებურად გა-
 გზრდი. ვაჟია?

— ვაჟია, მამა!

— მწყემსი იქნები, მოჯამაგირედ გაგზრდის
 მეპატრონე.

— ჯერ შენ ერთი ძიძა უშოვე ან კიდევ ხბო
 ძროხას მოაშორე, რომ გამოჰკვებო ეგა.

— მათემ ყურადღება არ მიაქცია დაცინვას,
 გამოახვია ბავშვი გამომშრალ ჩვრებში, დაფარა
 ტყაპუქის კალთა და მტკიცე, საკმაოდ სწორე ნა-
 ბიჯით წავიდა ოთახიდან. ცოტა გასავლის ძებნა
 დასკირდა, თორემ ჰაერზე რომ გამოვიდა მაშინვე
 გონს მოვიდა. ზოზინ-ზოზინით მოუხდა ჯებირზე
 ასვლა. გათამამებული ქარი უძნელებდა საქმეს, სცემ-
 და სახეში და უკანვე აცურებდა გალიბულ გზაზე.

როგორც იყო საგუბრამდე მიაღწია, შეუხვია
 მარცხნივ და გაემართა სოფლისაკენ.

გზა-გზა ქარი ისეთი ძალით ისროდა წყალსა
 გუბიდან, რომ ჯებირის იქითაც კი ასხამდა და
 მძიმე ტალღებად ფეხებში ეცემოდა მიმავალსა,
 რომელიც სტოპავდა შიგა და აქყაპუნებდა.

— ნუ კნავი, პაწაწავ, ნუ კნავი... რძეს და-
 გალვეინებ... აკვანს დაგიწნავ... კარგად იქნები
 ჩემთან ობოლო, კარგად... საქმელს მოგცემ... და
 ტანისამოსსაც... დანასაც გიყიდი ბაზარში... ჩემ
 საქონელს დაუწყებ დევნას, ან შეიძლება, ბატე-
 საც... ნუ კნავი, პაწაწავ... — ბურტყუნებდა მათე
 და რამდენადაც შეეძლო სიცივისაგან დაბუხული
 ხელებით ტყაპუქის კალთას იმაგრებდა.

მაღე გაჩუმდა; სლოკნი ჰკლავდა და მწვავე
 ცივი ქარი სიტყვებს უკანვე პირში სჩრიდა.

ჯებირის იქით გზა ტორფიან ქაობებზე დასა-
 შინელ ქყანტობებზე მიდიოდა. დაბერებული, შე-
 მოყვლეფილი არყები იხრებოდნენ და საცოდავად
 კვნესოდნენ ქარიშხლისაგან. მუხლებამდე ტალახი
 იყო. წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცივი ქარი მაინც
 ზუზუნით დანავარდობდა ქაობ-ქაობ.

მათე უფრო და უფრო ნელა მიდიოდა, გაქი-
 რებით აძრობდა ფეხებს ტალახიდან. ისე მოიქანცა,
 რომ თითქმის ეძინა და არაფერსა გრძნობდა. ხან-

დისხან მხოლოდ სიცივესა და ქარს მოჰყავდა
 გონსა.

სოფელი ახლოს იყო.

გლეხი ისე ძლიერ აღარ ბარბაცებდა, რო-
 გორც წინედ, მაგრამ სთვლემდა და არ იცოდა
 სად მიდიოდა, გარინდებულივით სდგამდა ფეხსა,
 ხანდისხან შეუგნებლად უცაცუნებდა ხელს ტყა-
 პუქსა, ბავშვსა... ფეხები ეხლართებოდა, სიცივე
 ძვალ-რბილში უჯდებოდა, რადგანაც მკერდი გა-
 დაღვლილი ჰქონდა და დასველებული ტყაპუქი
 სიცივისაგან არ იფარავდა... ბოლოს კალთა ჩაუშვა
 ძირს, წამოიწია მხრებზე ტყაპუქი და მთვრალი,
 ნამძინარევი ხმით დამღერა:

ცოცხალი ვარ,
 ქვეყნისა ვარ,
 მოგვადები და მიწისა ვარ.

პასუხად ატალახებულ გზიდან მომესმა ნელი,
 ნაწყვეტ-ნაწყვეტი კნავილი, სულშეგუებული ბავ-
 შვისა და ვილაცის აჩქარებული ფეხის ხმა...

მათეს არაფერი გაუგია და გამობრუებული მია-
 ბიჯებდა.

ი. სანდულაშვილი.

უ კ უ ღ მ ა რ თ ო ბ ა

ჩემ თვალ წინ გადაშლილია 13 სხვა და სხვა
 ქართული საზოგადოების ანგარიში.

ქართული სა-ურთი-ერთო ნდობის დაწესებუ-
 ლებათა, საადგილ-მამულო ბანკებისა, მევენახეთა
 ამხანაგობისა („კახეთი“), გორის მემამულეთა ამხა-
 ნაგობისა (სინდიკატი), საადგილ-მამულო კომი-
 სიისა...

გადავშალო-გადმოვშალებე,

არც ერთ ხსენებულ ანგარიშში, არც ერთი
 ქართული სტრიქონი!

ვფიქრობდი...

რა ღვთის წყრომაა!

იაროსლავის გუბერნიაში ვცხოვრობთ თუ
 საქართველოში?

ქართული დაწესებულებანი, განათლებულ ქარ-
 თველ ხალხით სათავეში, რომელნიც ემსახურე-
 ბიან ქართველ საქმეს, თავის ნაშრომებს სწერენ,
 ბეჭდავენ და ავრცელებენ ქართველ ხალხში,—
 მისთვის უცხო და უცნობ ენაზედ.

ასეთს უკულმართობას მარტო ქართულ ცხოვრებაში წააწყდებით!

მე არ შეგეხება იმ საკითხს თუ რა მანენ შედეგი მოსდევს დედა ენის ასე აბუჩად აგდებას ქართულ ორგანიზაციების მიერ საერთოდ ჩვენი ქვეყნის გამაგრება-გაძლიერებისათვის და მის ეროვნულ გათვითცნობიერებისათვის...

ამ ეპოქაში მე მსურს გამოვარკვიო, თუ ეს სამწუხარო მოვლენა რამდენად ხელს უშლის თვით იმ ორგანიზაციების საქმის გაფართოვებას, წინსვლას.

ავიღოთ, მაგალითად, რომელიმე საერთოერთო ნდობის ბანკი—ფოთში, ზუგდიდში, სიღნაღში, ან სხ. ვის ემსახურებიან ეს საზოგადოებანი?

ქართველ მემამულეს, ქართველ ვაჭარს, ქართველ გლეხს. მათი საერთო მიზნია დროზედ მიეშველნონ მათ იაფფასიან სესხით; მასთან ერთად ეს საზოგადოებანი სკდილობენ რაც შეიძლება მეტად გააფართოვონ თავისი კეთილი საქმე ხალხში და ამით შეიძინონ ბევრი ახალი წევრები. უკანასკნელებმა, რასაკვირველია, უნდა მიიღონ მონაწილეობა საერთო საქმის გაუმჯობესებაში, მოწესრიგებაში და სხვა...

ერთი მიზრძანეთ, როგორ მოახერხებს ამას კახელი გლეხი, სოფლის მოვაჭრე მეგრელი, ან იმერელი წვრილი მესაკუთრე, თუ იწიცი არ ესმის იმ ენისა, რომლითაც ეს დაწესებულებანი აწარმოებენ საქმეს: კრებებზედ, ანგარიშებში, სახელმძღვანელო გამოცემებში და სხვა?

მოვიყვანოთ კიდევ მაგალითი: მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“, ან გორის მემამულეთა ამხანაგობა...

მათი წინსვლა, გაძლიერება, გამდიდრება დამოკიდებულია ახალ და ახალ წევრების შეძენაზედ, მეტადრე ქართველ წვრილ მესაკუთრეთა მოწვევაზედ მისი სარჩო-საბადებლით, ქონებით, მოღვაწეობით საერთო საქმის გაძლიერებისათვის...

ამ საზოგადოებათ რომელ მხრიდან უნდა მიუდგნენ და საქმეც გააკეთონ, თუ მათთვის ერთად ერთი გასაგები ენა ქართული ენაა? ამ საზოგადოებების ენა კი არ ესმათ. მაშასადამე, ხსენებულ ორგანიზაციების წინსვლა ამ პირობებში მეტად სანაკლებია... და ამ უკულმართობას დიდი ზიანი მოაქვს თვით მათ პრაქტიკულ მუშაობისთვისაც.

წევრების რიცხვი ამ საზოგადოებისა ძალიან მცირეა და ხალხის მასა ექვის თვალითაც უყუ-

რებს მისთვის გაუგებარ და უცნობ დაწესებულებას. მეტყვიან... თქვენ მართალი ხართო... ამ უკულმართობას ჩვენცა ვგრძნობთ, მაგრამ რა ვუყოთ. ერთ მხრივ მთავრობის ხელში ვართ, დიდი ხანიც არის ასე მიგვყავს საქმე, და თუ ეხლა შემოვიღებთ ქართულ ენას, მთავრობას არ მოეწონება და შეიძლება ჩვენს საქმეს ავნოსო... ძალიან შემცდარი აზრია!..

ჩვენ თუ სხვას არ გადავადრალეთ, როგორ შეიძლება?

პოლონეთის და ლიტვის ყველა დაწესებულებაში სამშობლო ენა მეფობს... იქაც რუსეთის მთავრობაა, და არავინ ხელს არ უშლის თავის სამშობლო ენაზედ მოაწყონ სამაგალითო ეროვნულ კულტურულ-ეკონომიური საქმეები.

ხელთა მაქვს მათი რამდენიმე საზოგადოების ანგარიშები—ერთი უცხო სიტყვაც არ ურევია და ყველას შეუძლიან თავი უფლად წაკითხვა და გაგება.

მარტო მთავრობისთვის მომზადებულ ანგარიშებში თუ შეხედებით სახელმწიფო ენას და იმასაც მარტო ცალ გვერდზედ, რადგანაც მეორე გვერდი დათმობილი აქვს ისევ სამშობლო ენას.

იქ არც ეშინიანთ, არც რცხვენიანთ... ჩვენ კი, როგორც დაშინებულ ბავშვებს, ყველაფრისა გვეშინიან, გვრცხვენიან.

ვაი თუ „სეპერატიზმი“ დაკვწამონო.

ვაი თუ ერთმა ორმა რუსმა წევრმა ან „ქართველმა“ თავადმა ჩვენი ენა ვერ გაიგოს და შეერთებეთ!

მაგრამ სირცხვალი კი იმაშია, რომ აქამდის ამ უნიადაგო ექვებით ვართ გატაცებული და ჯერ ვერ შევიგნეთ ის მარტივი აზრი, რომ ვერც ერთი ჩვენი ეროვნული საქმე, ეკონომიური იყოს იგი თუ კულტურული, ვერც მოეწყობა, ვერც გაიჩარება, სანამ ის მოკლებული იქნება უმთავრეს ელემენტს—ქართველ ხალხის გულის მისაზიდავს—ქართულ ენასა.

კულტურულ-ეკონომიური ზრდა-განვითარება ჩვენი ქვეყნისა ქართულ ენის ზრდა-განვითარებასთან არის დაკავშირებული, ე. ი. იმ ენასთან, რომელზედაც ლაპარაკობს და აზროვნობს ქართველი გლეხი, ვაჭარი, მღვდელი, აზნაური.

ქართული დაწესებულებანი კი სრულიად უყურადღებოდ სტოვენენ მას, როგორც უმნიშვნელო საგანს და ამის შედეგიც ის არის, რომ ერთ მხრივ ქართული ენაც ირყვნება, იმის მაგიერ, რომ მდი-

დრდებოდეს სიტყვებით, ტერმინებით სხვა-და-სხვა ახალ ფეროვან შინაარსით, და მეორეს მხრივ უცხო ენის ხმარება თვით ქართულ ორგანიზაციების საქმიანობას ძალიან აფერხებს, ფრთებს აკვრავს და წინ სვლის იმედებსაც უკარგავს...

ამიტომ, თუ ჩვენ კულტურულ-ეკონომიურ ორგანიზაციებს მომავალში უნდათ თავისი ყოფაცხოვრება გამოასწორონ, გაამდიდრონ, აუცლებლად თავის საქმიანობაში მხნედ და მედგრად უნდა დაიცვან სამშობლო ენა.

მათ კრებებზედ ყოველი ქართველი წევრა უსათუოდ ქართულად უნდა ლაპარაკობდეს, ყველა ქართულ საზოგადოების ანგარიშები, სახელმძღვანელოები, წესდებანი და საერთოდ, ყველა მათი გამოცემანი უსათუოდ ქართულად უნდა

იბეჭდებოდეს. წარსადგენი ანგარიშები შეიძლება —პირველ გვერდზედ რუსულად იბეჭდებოდეს მეორეზედ ქართულად.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი კულტურულ-ეკონომიური ორგანიზაციები ამ „წვრილ-მან რეფორმას“ არ შეუშინდებიან და ახლო მომავალში განახორციელებენ, დაიცავენ მის პრინციპებს და ამით შეუწყობენ ხელს როგორც თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას, ისე საერთოდ ეროვნულ საქმიანობის განმტკიცებას, გაძლიერებას საქართველოში.

დავით კახელი.

კოოპერაცია და ეკონომიური ცხოვრება

საკრედიტო ამხანაგობანი.

ამ წლის 1 მარტიდან 1 გოორგობისთვის ქართლ-კახეთში გაიხსნა დანებადართულ იქმნა გასახსნელად მრავალი ახალი საკრედიტო ამხანაგობა:

გაიხსნა	მიეცა სესხად.	გრძელ ვად.	მოკლე ვად.
1. ნორიოში	საკრედ. ამხ.	2000 მ.	6000 მ.
2. დილოში	"	"	5000
3. დირბში	"	"	5000
4. კაკაბთში	შემნ. გამს. ამხ.	"	6000
5. ცაგვერში	"	1000	5000
6. ქანძში	"	2000	5000
7. დუშეთში	"	"	7000

ნება დართულია

	საკრედ. ამხ.	გრძელ ვად.	მოკლე ვად.
8. ვაჩნაძიანში	საკრედ.	2000 მ.	5000 მ.
9. წინანდალში	"	"	6000
10. ნაფარეულ	"	"	6000
11. სურამში	"	"	5000
12. ყაზბეგში	"	"	"
13. მლეთში	"	1500	"
15. ფასანაურ.	"	"	"
15. ტყვიავში	"	"	"
16. ახალქალ.	"	"	6000
17. წილკანში	"	"	8000
18. მეტეხში	"	"	7000
19. ძვერაში	"	"	5000
20. კობში	"	"	5000

თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორამ მოიწვია მეორე ინსპექტორი ქართლ-კახეთის წვრილი საკრედიტო ამხანაგობათა საქმისათვის — ჩვენი თანამემამულე დავით ყარაშანის ძე ჩხეიძე.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო სანიმუშოდ საკრედიტო ამხანაგობათა ინსპექტორისაგან ბ. ვიფორსისაგან რკინის პატარა ამერიკული ყულაბი, რომლის ხმარება ძალიან გავრცელებულია რუსეთის საკრედიტო ამხანაგობათა შორის.

ამ ნაირ ყულაბებს საკრედიტო ამხანაგობა ურიგებს თავის წევრებს, და ამით ხელს უწყობს და აჩვევს წვრილ-წვრილად ფულის შენახვას.

ყულაბი ისეა გამართული, რომ ჩადებულ ფულის ამოღება შეუძლებელია. გასაღები ამ ყულაბისა საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას აბარია. როცა ყულაბი გაივსება, წევრს მიაქვს იგი საკრედიტო ამხანაგობაში და აბარებს ფულს, როგორც შესანახ თანხას (вкладъ).

ჩვენ ახალგაზრდა საკრედიტო კოოპერაციას ეს ყულაბი მართლაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ერთის მხრივ შესანახ თანხის ოპერაციების გადიდებით, მეორე მხრივ — ასწავლის ქართველ გლეხკაცს ხელმოჭერილობას.

ამ ყულაბების შექმნა შეიძლება თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორის დახმარებით. თითო ყულაბი ღირს 1 მ. 65 კ.

მისი ნახევა-გასინჯვა შეიძლება სახელმწიფო ბანკში და უკრ. „კლდე“-ს რედაქციაში.

მიწად მოქმედების და მიწის მოწყობის დებარტამენტმა აცნობა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ მას დაენიშნა ამ წლის შესაწევარი 2000 მან. კახეთში ამერიკულ ვაზის სანერგეს გასაშენებლად.

მელიორატიული დახმარება

ერთი წლის წინად ნაოზა-მისაქციელის ბარის გლეხებს და აზნაურებს განუზრახავთ სარწყავი წყლის გამოყვანა მდ. არაგვიდან და მიუმართავთ თხოვნით ინჟინერ პ. მამრაცხეთის. პ. მამრაცხეთის მხნეობით შეუდგა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის ტექნიკურ გამოკვლევას და დაამთავრა კიდევ მისი პროექტი. მაგრამ უკანასკნელ დროს ხსენებულ ბარის მცხოვრებთა შორის დაიბადა ახალი აზრი—გამოიყვანონ სარწყავი რუ „ბაგის ქალიდამ“ სოფ. ნატახტარამდის. ამ ახალ პროექტით მოირწყვება 2,000 დესეტინა მიწა, რომლის ღირებულება თიქმის უკანასკნელი 500,000 მანეთი იქნება. მაგრამ ამ დიდ პროექტის საბოლოოდ დამთავრებისათვის სახარჯოდ საჭირო იყო 400 მანეთი (გამოსაკვლევად და წინასწარ მუშაობისათვის), რომელსაც ხსენებული მცხოვრებნი პ. მამრაცხეთის დაპირდნენ, მაგრამ ეს თანხა ჯერ ვერ შეუგროვებიათ ერთმანეთში და საქმეც შედგა. მაშინ დუშეთის წინამძღოლმა და ინჟ. პ. მამრაცხეთის შეიტანეს თხოვნა საადგილ-მამულო კომისიაში, რომ უკანასკნელი მიეშველოს მათ მელიორატიულა სესხით ამ საქმის მოსარიგებლად და სთხოვდნენ ამ 400 მ. საადგილ-მამულო კომისიამ მიიღო რა მხედველობაში ეს ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმე, ერთხმად დაადგინა, გადასცეს ინჟ. მამრაცხეთის 400 მან. წინასწარ ხარჯებისათვის და იქონიოს ზედამხედველობა ამ საქმის კეთილად დასამთავრებლად.

ნ ა რ ე ვ ი

ნაპოლეონის მიუღწევი. ყველამ უწყის, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ნაპოლეონი თავის ახალ ქორწინებას. ერთი მისი საუკეთესო ბიოგრაფთაგანი, ინგლისელი პრაფე-

სორი სლოონი დაწვრილებით აღწერს, როგორ შეხვდა იმპერატორი ნაპოლეონი თავის ახალ მეუღლეს მარია-ლუიზას. შეხვედრა მოხდა საფრანგეთის საზღვრების გარეშე. ლაშქრობის დროს. იმპერატორს სურდა ბრწყინვალედ დახვედროდა თავის ახალ დანიშნულს. მომზადებული იყო ორი კარავი, ერთი ნაპოლეონისთვის, მეორე მარია-ლუიზასთვის. თანახმად ეტიკეტისა დანიშნულებს ცალკე უნდა გაეტარებინათ ეს ღამე. მაგრამ ნაპოლეონი იწოდა შეხვედრის სურვილით. მან უკუაგლო ყოველივე ეტიკეტი და მარია-ლუიზა იმ ღამესვე თავის კარავში მიიღო. რამდენად ესწრაფოდა ნაპოლეონი თავის ახალ მეუღლეს, რომელსაც საფრანგეთისთვის შემკვიდრე უნდა ეძღვნა—ეს ამ ფაქტიდანაც ნათლად სჩანს. ნაპოლეონი, რომელიც ნაკლებ აფასებდა ქალებს და ისე ღალატობდა მათ, როგორც ეს უკანასკნელნი იმპერატორს, ისე დამოირჩილა მარია-ლუიზამ, რომ შემდეგში, სულის ამოსვლისას, ეუბნებოდა თავის ექიმ ანტომარკის:

— კიდევ ერთი ჩემი სურვილი ის არის, რომ ამოიღოთ ჩემი გული, ჩადოთ სპირტში და წაიღოთ პარმაში, ჩემს ძვირფას მარია-ლუიზასთან. უთხარით მას, რომ იგი მიყვარდა ნაზის სიყვარულით და ამ სიყვარულზედ არასოდეს ხელი არ ამიღო. და უმბეთ მას ყველაფერი, რაც თქვენ ნახეთ და რაც შეეხება ჩემს მდგომარეობას და სიკვდილს. მაგრამ როგორ სცდებოდა საცოდავი იმპერატორი!

მაქს ბილიარი თავის ახალ წიგნში: „ქმრები ნაპოლეონის ცოლისა“ ასე აგვიწერს მარია-ლუიზას: როდესაც გრადე სენოლერმა პირველმა აცნობა მას ნაპოლეონის გადაყენება, იმპერატორს იგი თავის საწოლ ოთახში მიიღო. საბნის ქვეშედან მოსჩანდა მისი შიშველი ფეხები. ისედაც უბედურობით თავზარდაცემულმა იმპერატორის ყოფილმა კამერჰერმა, თვალი მოარბა მარია-ლუიზას.

— ა, თქვენ ათვალეირებთ ჩემს ფეხს! სთქვა მარია-ლუიზამ. მე მუდამ მარწმუნებდნენ, რომ ლამაზი ფეხები გაქვსო.

ნაპოლეონი ჯერ ისევე ცოცხალი იყო ელბაზედ, რომ მისი ცოლი ცალთვალა გენერალ ნეიპერგას გაჰყვა 1817 წ. საქმე იქამდის მივიდა, რომ საჭირო გახდა სასახლეში აკუშობი მოეწვიათ. ასული კეისრებისა და მეუღლე ქვეყნის მპყრობელისა დაცივისა და გესლიან ეპიდემიების საბაბად გახდა.

მაგრამ არაბობამ და გარყვნილებამ მიიღწია თავის სამზღვარს მაშინ, როცა კეისრის ნაცოლარი დაუკავშირდა სალახანა მწერალს და ტენორს ულ ლეკონტს.

— მე ვარ შემკვიდრე ნაპოლეონისა—სწერდა თავის ნაცნობ წიგნის გამომცემელს იგი. თქვენ ამას ვერ ამჩნევთ ტიულერიში, მაგრამ ამას ვამჩნევ მე პარმაში. მე ვიმღერე მარია-ლუიზასთან. ვახშმად თავისთან დამტოვა, ვახშამმა. მთელ ღამეს გასტანა. როცა დილით გამეღვიძა, შემეძლო მეთქვა, რომ იმპერატორი მე ვარ.

ეს თავგასული სალაზანა იქამდისაც კი მივიდა, რომ ყოფილ იმპერატორისთვის სასაფლაო ეპიტაფია დააშენდა.


— აქ განისვენებს ის, ვინც დაიწყო იმპერატორით და დაათვა ტენორით.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“
დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოე-
ბაშიარის 164 წევრი. „კახეთის“ საზო-
გადოებას წევრებს ერთად აქვთ 866 1/2
დეხეტინა ვენახა სა დ მაც უზიდავენ
საზოგადოებას

ნ ა მ დ ვ ი ლ კახურ ღვინოს.

ესო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა
საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა
1,000,000 მადრო ღვინო 3,000,000 მან.


საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: გაქოში,
ასხაბაღში, ტაუკეთში, ბათოში, მოკოვში, არმა-
ვირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.

პალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადო-
ების წევრებად და ამით დაიხსენით
თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩა-
რჩების ცარცვისაგან და მასთან ერ-
თად შეუწყეთ ხელი ღვინით და
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-
ხელისთვის ფრიად სასარგებლო
„საზოგადოების“ გაფართოება—
გაძლიერება, მის წევრების გაძლი-
ერების და გამდიდრების მომასწავე-
ბელია.

უპანასკნელ დროს საზოგადოების
საქმიანი მოქმედებების და მკვიდრად
დაუბნეაული

მოითხოვეთ საზოგადოების
წესდება.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება.

საზოგადოების ჯდრესი: თბილისი, გოგოლის, ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“.